

ნადირ-შაჰის მიერ წარმოებული ინდოეთის სამხედრო კამპანია და ერეკლე II
- ის ავტორობით ცნობილი წერილი, რომელიც მან საკუთარ დას, ანა
ორბელიანს მისწერა ინდოეთიდან

გრიგოლ ფერაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების
ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ყარაულაშვილი, ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო კონსულტანტი: იზაბელ ოჟე, პროფესორი

Scientific consultant: Isabelle Augé (Professeur d'histoire du Moyen Âge)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ბატონ გიორგი გვალას
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრანტის გრიგოლ ფერაძის

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების
მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ
მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო
წესების შესაბამისად.

გრიგოლ ფერაძე

2020

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის უმთავრეს მიზანს ერეკლე ბატონიშვილის ავტორობით ცნობილი წერილის შესწავლა წარმოადგენს. როგორც ცნობილია, უფლისწულმა წერილი საკუთარ დას, ანა ორბელიანს ინდოეთიდან მისწერა. ტექსტიდან გამომდინარე თავად წერილი 1739 წელს უნდა დაწერილიყო. საგულისხმოა, რომ არაერთი საისტორიო წყარო ადასტურებს ქართველი მეფის მონაწილეობას ნადირ-შაჰის მიერ წარმოებულ ინდოეთის სამხედრო კამპანიაში 1737-1740 წწ.

წერილის ტექსტი რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა მეცხრამეტე საუკუნეში. იგი პირველად საგაზეთო სტატიის სახით “კავკაზში” - ში რუსულ ენაზე გამოიცა. ამის შემდეგ ტექსტის ფრანგულენოვანი თარგმანი მარი-ფელისიტ ბროსეს მიერ „საქართველოს ისტორიის“ ტომეულში გამოქვეყნდა, ტექსტის ქართულენოვანი ვერსია კი 1859 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა.

ქართულენოვანი ტექსტის ახალქართულად ადაპტირებული ვერსია ხელახლა 1957 წელს გამოიცა. ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე წერილის ტექსტი XIX საუკუნის მიწურულს დაწერილი რუსული ხელნაწერისა, რომელიც საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რუსულ არქივშია დაცული.

ნაშრომში შესწავლილია შემდეგი საკითხები: ერეკლე ბატონიშვილის ავტორობით ცნობილი წერილის ქართული, ფრანგული და რუსულ ენოვანი ვერსიები, XVIII საუკუნის 30-იანი წლების ზოგადი სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა აღმოსავლეთ კავკასიასა და სპარსეთში, ნადირ-შაჰის მიერ ინდოეთში წარმოებული სამხედრო კამპანია. წერილში გადმოცემულია როგორც პირადი ხასიათის, ასევე ისტორიულად მეტად ღირებული ცნობები, რომლებიც უშუალოდ ინდოეთში ლაშქრობას შეეხება. ამდენად, ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას მივიჩნიოთ, რომ ტექსტი ნამდვილად ერეკლე II - ის მიერ არის დაწერილი.

ძირითადი სამიუბო სიტყვები: ნადირ-შაჰი, სპარსეთი, ერეკლე, ანა ორბელიანი, უფლისწული, ინდოეთი, თეიმურაზი, ქართლი, კახეთი.

Abstract

The present thesis aims at analyzing the letter, allegedly written by the Georgian King Erekle II from India and addressed to his sister, Anna Orbeliani. According to its content, the letter had to be written in 1739 AD. As it well known from various historical sources, the Georgian King had indeed participated in the Indian military campaign of Nader Shah, that took place during 1737-1740.

The text of the letter was published several times during the nenteenth century: first it appeared as a newspaper article in “Кавказъ” in Russian, then its French translation was included in the “Histoire de la Géorgie; depuis l’antiquité jusqu’au XIXe siècle” by Marie-Felicite Brosset, and finally it was published as a journal entry in Georgian in “Tsiskari”

The Georgian text of the letter was re-published in 1957. I was able to identify a nenteenth century Russian manuscript that contains the text of the same letter in the Russian archives of the National Centre of Manuscripts.

Various Georgian, French and Russian versions of the letter, as well as general social and political situation in the East Caucasus and Persia during the 30s of the eighteenth century, together with instances of Nader Shah’s Indian military campaign are analysed in this thesis. Many significant personal, as well as historical notes about Indian campaign mentioned in the letter allow me to suggest that this text was indeed written by the Georgian King Erekle II.

Key words: Nader Shah, Persia, Erekle, Anna Orbeliani, prince, India, Teimuraz, Kartli, Kakheti

მადლობა

წინამდებარე კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა ERASMUS+ გაცვლითი პროგრამის გრანტის მეშვეობით. პროგრამის ფარგლებში ერთი აკადემიური სემესტრი დავყავი საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში, პოლ ვალერის სახელობის უნივერსიტეტში. ზემოხსენებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ და ელექტრონულმა სამეცნიერო ბაზამ უდიდესი დახმარება გამიწია საკვლევი თემის სიღრმისეულად შესწავლის პროცესში.

დამატებითი ლიტერატურის მოძიებაში და კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებული მადლობა პროფესორ ირმა ყარაულაშვილს, მზალო დოხტურიშვილს, იზაბელ ოჟესა და ჟერარ დედეიანს.